ARERSA METAL LTD

DATE. 29/04/2020

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

ვაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „არერსა მეთალ"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 437072864) მიერ დაგეგმილია მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში, ქუჩა 1, ნაკვეთი 107-ში მდებარე 31 797.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „მანსაროვარ"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406030815) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №26.16.19.006.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-6 პუნქტის თანახმად "მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გზშ-ს ექვემდებარება კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი:
1. შ.პ.ს. „არერსა მეთალ"-ის მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში ნაბეჭდი - 1 ეგზემპლარი და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).
3. სკოპინგის ანგარიშის პრეზენტაცია.

პატივისცემით,

ერვინდ კუმარ შარმა

შ.პ.ს. „არერსა მეთალ"-ის დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო №6705 01" 05 2020 წ. 1/CD + 02 +

საიდენტიფიკაციო კოდი: 437072864
მის: სოფ. ლიხაური,
ოზურგეთი, საქართველო
მობ: (995) 77 770 660

ბანკი: სს იშბანკი საქართველო
ბანკის კოდი: ISBKGE22
ა/ნომერი: GE77IS0000647436772006
ელ.მის: arvind@inbox.lv